

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ნინო ფუტყარაძე

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის თანამედროვე მდგომარეობა და
პერსპექტივები (ინგლისურ მასალაზე დაყრდნობით)

სპეციალობა - ლინგვისტიკა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოც. პროფესორი მ. კიკვაძე
პროფესორი ზ.ბეჟანოვი

ბათუმი
2018

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მაია კიკვაძე - ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ზურაბ ბეჟანოვი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესორი.

შემფასებლები:

1. **ნათელა ფარტენაძე** - ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
2. **ნუნუ გელდიაშვილი** - ფილოლოგიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის მიმართულების პროფესორი;
3. **თამარ დოლიძე** - ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
4. **ჰარუნ ჩიმქე** - ფილოლოგიის დოქტორი, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თურქეთი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2018 წლის 22 ნოემბერს, 17:00 საათზე, 37-ე აუდიტორიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის ქუჩა, #35

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის ანოტაციისა - ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნ. ფარტენაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაში დღითიდღე იზრდება ინგლისური ტერმინების შემოღება, რაც გლობალიზაციის პირობებში კიდევ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს. მკვიდრდება ახალი ლექსიკური ერთეულები, რომელთაც ქართულში დაემბნებათ შესატყვისი ეკვივალენტები, მაგრამ ლექსიკონებში, საზღვაო დოკუმენტებსა და კონვენციებში უპირატესობა მაინც უცხოურ ტერმინს ენიჭება. ეს ტენდენცია განპირობებულია იმით, რომ ინგლისური ენა ოფიციალურად არის გამოცხადებული საერთაშორისო საზღვაო ენად.

ნაოსნობასა და ზღვაოსნობას საქართველოში ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. შესაბამისად, ქართული საზღვაო ტერმინოლოგია საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა. საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყანას, ურთიერთობა ჰქონდა და აქვს მრავალ ქვეყანასთან. ენათა გავლენა განუზომლად დიდია, რაც განაპირობებს უცხოურ ტერმინთა სიმრავლეს. გლობალიზაციის ეპოქა ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ჩვენს ქვეყანას.

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა, ტერმინთა სტანდარტიზაცია, მოწესრიგება, ტერმინთა თარგმნასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, სალექსიკონო სივრცეში ქართული ტერმინების დამკვიდრება და სამომავლო პერსპექტივების დასახვა წარმოადგენს წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ზოგად დახასიათებას.

საკვლევი თემის აქტუალობა:

დღესდღეობით ენათა ურთიერთობა გლობალიზაციის პირობებში უფრო მჭიდრო ხასიათს იძენს. გლობალიზაცია ეხება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს და ბუნებრივია, ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველო (რომელსაც გააჩნია საზღვაო მიმოსვლის საშუალებები), განსაკუთრებით თვალშისაცემია გლობალიზაციის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია ქართველი მეზღვაურების უცხოეთის ქვეყნებს შორის საზღვაო მიმოსვლის, დასაქმების, მზარდი კომუნიკაციებით საზღვაო სფეროში, რაც თავის მხრივ, ცვლილებებს იწვევს

თანამედროვე ქართული საზღვაო ლექსიკური მარაგის გამრავალფეროვნების ინტენსიური ხასიათით, ინგლისურ ლექსიკურ ერთეულთა შემოღინებით თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში და ახალი ერთეულების დამკვიდრებით. საქართველო, როგორც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, იურიდიულ და უშუალოდ საზღვაო აქტივობას, რაც შესაბამისად უნდა იქნეს ასახული ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაში. გარდა ამისა, უკანასკელ წლებში ქვეყნის ეკონომიკურმა ზრდამ, ინვესტორთა მოზიდვამ კიდევ უფრო გაზარდა საქართველოსთან, როგორც საზღვაო სატრანსპორტო ქვეყანასთან, თანამშრომლობის მსურველთა რიცხვი. ბუნებრივია, ეს ეხება დასაქმების საზღვაო კომპანიებს. აქედან გამომდინარე, ამ დარგის ყველა შემოსული ახალი ტერმინი თუ მზა ფრაზები, სპეციალისტთა პრაქტიკული საქმიანობის პროცესში შექმნილი ახალი ლექსიკური ერთეულები მაქსიმალურად უნდა აისახოს სალექსიკონო სივრცეში. სწორედ ეს განაპირობებს სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობას.

ნაშრომის აქტუალობა შემდეგმა გარემოებებმა განაპირობა:

1. ინგლისური ენის მნიშვნელობის ზრდა თანამედროვე მსოფლიოში;
2. თანამედროვე ქართულ საზღვაო ლექსიკაში ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვების შემოღინების გააქტიურება;
3. ინგლისური ენის - IMO - ს ოფიციალურ ენად გამოცხადება და მეზღვაურთა ყველა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაზე, რაც ასევე ხელს უწყობს უცხოური ლექსიკური ერთეულების დამკვიდრებას.
4. ტერმინთა ეკვივალენტურობა; უცხო ენაზე არსებული ერთეულისთვის ეკვივალენტი ტერმინის შერჩევა.

კვლევის მიზნები და ამოცანები:

თანამედროვე საზღვაო ტერმინოლოგიის კორპუსის გადახედვა; თანამედროვე ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის სადღეისო მდგომარეობის დადგენა და შესაძლო ემპირული ბაზის ინტერპრეტაცია; საზღვაო ტერმინთა სტრუქტურული და სემასეოლოგიური დახასიათება. კვლევის მიზანია ერთი მხრივ, თანამედროვე ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის გარკვეული მოწესრიგება, ხოლო მეორე მხრივ, ტერმინთა ქართულ ენაზე გადმოცემისთვის

აუცილებელი ძირითადი ტენდენციების გამოვლენა და პრობლემათა ანალიზი. დასახული მიზნისთვის საჭიროა შემდეგი კონკრეტული ამოცანების გატარება:

- ქართული საზღვაო კორპუსის ჩამოყალიბებისა და განვითარების აღწერა.
- ინგლისურენოვან საზღვაო ტერმინთა იმ ნაწილის გამოვლენა, რომელთა ქართული შესატყვისის მოძიება ან კიდევ თარგმნა სირთულეებს იწვევს.
- ინგლისური და ქართული საზღვაო ტერმინების შეპირისპირება შინაარსობრივი კუთხით.

მეცნიერული სიახლე:

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში: სადისერტაციო ნაშრომში განიხილება ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ფორმირებისა და განვითარების, თანამედროვე ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის დღევანდელი მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების ძირითადი საკითხები.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი საკვლევი მასალის ფონზე გამოვლენილია თანამედროვე ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაში შემოსული ნასესხები სიტყვებისა თუ ტერმინების დამკვიდრების გზები და საშუალებები; ასევე განხილულია ტრანსლიტერირების საკითხები, თუ რამდენად სწორად გადმოვიდა და დამკვიდრდა სიტყვა ინგლისურიდან თანამედროვე ქართულ საზღვაო ლექსიკაში; წარმოდგენილია ტერმინთა ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმანის სირთულეები; შეფასებულია არსებული ტენდენციები ინგლისური ერთეულების სესხებისა. გამომდინარე იქიდან, რომ უცხოურ საზღვაო ტერმინებს ქართულ ენაში საერთოდ არა აქვთ შესაბამისი დენოტანტები, ნაჩვენებია ტერმინთა ეკვივალენტურობასთან დაკავშირებული პრობლემების ძიების გზები; გააანალიზებულია ტერმინები ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური კუთხით;

ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობა.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ დისერტაციის შემაჯამებელი დასკვნები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ზოგად ენათმეცნიერებაში, ტერმინთმცოდნეობაში, სხვადასხვა დარგის ტერმინთა სისტემების შეპირისპირებითი კვლევების დროს.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩატარებული კვლევის შედეგები სათანადო მასალაა თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის სალექციო კურსისათვის.

ასევე საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტებისა და ზოგადად, მეზღვაურებისათვის ინგლისური ენის შესწავლის პროცესში, ლექსიკური მასალის შერჩევასა სალექციო კურსისათვის, დარგობრივი საზღვაო ინგლისურისათვის. ნაშრომი დახმარებას გაუწევს როგორც ლექსიკოგრაფებს, სპეციალური ან განმარტებითი ლექსიკონების შედგენისას, ასევე ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების კვლევით, საზღვაო სანაოსნო საქმის წარმოებით, საზღვაო საქმიანი ურთიერთობებით დაინტერესებულ დარგის სპეციალისტებს. იგი ასევე ხელს შეუწყობს საზღვაო სფეროს პრაქტიკოს მთარგმნელებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. სწორედ ეს განაპირობებს სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომზე მუშაობისას სამეცნიერო ლიტერატურისა და ინტერნეტრესურსების მოძიება-დახარისხებასთან, შესწავლასა და კრიტიკულ ანალიზთან ერთად გამოვიყენეთ აღწერითი მეთოდი. ემპირული კვლევისათვის უპირატესობა ენიჭება დესკრიფციულ მეთოდს, ასევე შეპირისპირებითი კვლევის მეთოდს. შეპირისპირებულია უცხოური ერთეულები მათ ქართულ შესატყვისებთან. ნაშრომში გამოყენებულია კომპლექსური მეთოდი, რაც მოიცავს ლინგვისტური მასალის ანალიტიკური დაკვირვების, ეტიმოლოგიური, კონტექსტუალური, სემანტიკური ანალიზის მეთოდებს.

ნაშრომის თეორიული საფუძველი: შესწავლილია სათანადო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა, თეორიული ნაშრომები და მონოგრაფიები, პუბლიკაციები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ნაშრომის აპრობაცია:

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში, სადაც შედგა მისი განხილვა-აპრობაცია 2018 წლის 16 თებერვალს (ოქმი № 03).

ნაშრომის ცალკეული ნაწილი გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებსა და შრომათა კრებულებში, წაკითხულია მოხსენებებად საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე.

ნაშრომის სტრუქტურა: საკვალიფიკაციო ნაშრომი „ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები (ინგლისურ

მასალაზე დაყრდნობით)“ მოიცავს კომპიუტერზე აკრეფილ 204 გვერდს და შედგება შესავლის, პარაგრაფებად დაყოფილი სამი თავისა და დასკვნებისგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

დისერტაციის შინაარსი:

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში განხილულია საკვლევო თემის აქტუალობა, ძირითადი მიმართულებანი, მიზნები და ამოცანები. წარმოჩენილია დისერტაციის სამეცნიერო სიახლე და ღირებულება, კვლევის მეთოდები, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, მოცემულია ინფორმაცია ნაშრომის სტრუქტურის შესახებ.

თავი I. ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ისტორია და განვითარება დღემდე

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ნაოსნობისა და ზღვაოსნობის ისტორია ძველ საქართველოში, ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები. საუბარია ძველ ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაზე ბერძნული, თურქული, რუსული ენების გავლენასა და ტენდენციებზე.

§ 1. დარგობრივი ლექსიკისა და ტერმინოლოგიის ურთიერთმიმართება

1.1. განსხვავება დარგობრივ ლექსიკასა და ტერმინოლოგიას შორის

დარგობრივი ლექსიკა ენათა ლექსიკის უძველეს ფონდს განეკუთვნება. ის ასახავს ამა თუ იმ ენობრივ ერთეულზე მეტყველთა სამეურნეო საქმიანობასა თუ სოციალურ დამოკიდებულებებს. დარგობრივი ლექსიკა განეკუთვნება კულტურას ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით და, შესაბამისად, დარგობრივი ლექსიკა აქვს ყველა ენის ყველა დიალექტს, მიუხედავად მისი განვითარების დონისა, ანუ დარგობრივი ლექსიკა აქვს ე.წ. პირველყოფილი კულტურის მატარებელ ტომებსაც.

სრულიად განსხვავებული სიტუაციაა ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. ტერმინოლოგია ახასიათებს მხოლოდ ენებს, ამ სიტყვის სოციო-ლინგვისტური გაგებით, ანუ იმ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც ფუნქციონირებენ ოფიციალური სახელმწიფო ან რეგიონული ენის სტატუსით. ენა ქმნის ტერმინს, ანიჭებს მას მნიშვნელობას. ტერმინისთვის დამახანისსიათებელია ფუნქციონირება მხოლოდ ისეთ

ლექსიკურ და სემანტიკურ ველში, რომელშიც მას ცალსახა მნიშვნელობა აქვს. ასეთი ველი თანამედროვე ლინგვისტიკაში განისაზღვრება როგორც „მართებული არე“.

1.2. ტერმინთა ძირითადი მახასიათებლები

ტერმინის ძირითად ნიშან-თვისებებსა და ფუნქციებში მეცნიერები შემდეგ კრიტერიუმებს გამოყოფენ: 1) სისტემურობა; 2) ნომინაციურობა და დეფინიციურობა; 3) მონოსემიურობის ტენდენცია; 4) გამოხატვის სიზუსტე; 5) მოდალურობა; 6) სტილისტური ნეიტრალურობა.

ტერმინი მისი მახასიათებელი თვისებებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე უნდა განვიხილოთ სამ ასპექტში. ესაა თვისებები, რომლებიც უნდა ჰქონდეს „იდეალურ“ ტერმინს: 1) სინტაქსური (ტერმინის აგებულება, ფორმა), 2) სემანტიკური (ტერმინის შინაარსი, მნიშვნელობა) და 3) პრაგმატული (ტერმინის ფუნქციონირება, გამოყენების თავისებურებანი).

§ 2. ნაოსნობისა და ზღვაოსნობის განვითარება ძველ საქართველოში

2.1. ძველი ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ეტაპები

საუკუნეთა მანძილზე წყალზე მიმოსვლის საშუალებანი თანდათანობით განვითარდა და დაიხვეწა. ნაოსნობაში დაწინაურებულ ერთ ხალხს მეორე ცვლიდა, ერთი ტიპის საზღვაო საშუალების ადგილს მეორე იკავებდა. ქართველთა „საზღვაო ენას“, ისე როგორც ყველა სხვა ხალხისას, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურება–პირობითობა და ტერმინოლოგია გააჩნია. ქართული ნაოსნობის ტერმინოლოგიის პირველ მკვლევრად გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი უნდა ჩაითვალოს. „სიტყვის კონაში“ მოცემულია საქართველოში გავრცელებული სანაოსნო საშუალებათა სახელწოდებანი და მათი მოკლე დახასიათება.

საზღვაო ტერმინოლოგიას ვხდებით **ტიმოთე გაბაშვილის** „მიმოსვლაში“, რომელმაც 1755-1758 წწ. იმოგზაურა თურქეთში, ახლო აღმოსავლეთსა და პალესტინაში. ამაზე უფრო ადრე, 1737 წ. ტიმოთე გაბაშვილმა შეადგინა და გამოხაზა დასავლეთ საქართველოს რუკა, რომელზეც ქართული ზღვაოსნობის ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანი მასალაა დატანილი.

ზღვაოსნობის მრავალი ტერმინია მოხსენიებული **იოანე გედევანიშვილის** ჩანაწერებში „მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“. მან XVIII

საუკუნის 80-იან წლებში იმოგზაურა უცხო ქვეყანაში, მოიარა თურქეთი, პალესტინა, ეგვიპტე, იტალია, შემდეგ ავსტრიის, გერმანიისა და პოლონეთის გავლით კიევში ჩავიდა.

მიმოსვლის ჟანრის კიდევ ერთი ნაწარმოებია გიორგი ავალიშვილის „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“. ავტორი 1819 -1820 წწ. მოიცავს. მოიარა თურქეთი, ეგვიპტე, ქრისტიანებისათვის წმინდა ადგილები პალესტინაში, უმეტესად ზღვით იმოგზაურა, ამიტომ მის წიგნშიც მრავალ საზღვაო ტერმინს ვხვდებით.

სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონში ფიქსირებული სანაოსნო ტერმინოლოგიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეტიმოლოგიის მიხედვით ის შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს: 1) უძველესი ხანიდან დაახლოებით XVI საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში ნაოსნობის საქმეში საკუთრივ ქართული სახელწოდებანი გამოიყენებოდა ან კიდევ საბერძნეთიდან თუ ბიზანტიიდან შემოსული ტერმინები. 2) XVII საუკუნიდან თანდათანობით ძლიერდება თურქულის გავლენა(თურქულიდან საზღვაო ტერმინები პირველ რიგში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში –აჭარასა და ლაზეთში შემოდის). ამ ენიდან შემოდის მრავალი საზღვაო ტერმინი, რომელთაგან მხოლოდ მცირედი ნაწილია საკუთრივ თურქული, უმეტესი იტალიური, ბერძნული, ან კიდევ ევროპისა თუ აღმოსავლეთის სხვა ხალხების კუთვნილებაა. 3) XVIII ს. დასასრულიდან ჩვენს ენაში შემოდის რუსეთის ფლოტისათვის დამახასიათებელი ტერმინები.

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ძირითად წყაროს ფეოდალური ხანის ქართული მწერლობა წარმოადგენს. ორიგინალურმა თუ თარგმნილმა, საერო თუ სასულიერო მწერლობამ შემოგვინახა ტერმინები, რომელთა ნაწილი დღესაც გამოიყენება.

2.2. ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ საქართველოში

აღსანიშნავია, რომ გვხვდება როგორც ბერძნულიდან, თურქულიდან, ლათინურიდან, იტალიურიდან შემოსული ტერმინები, ისე ძველქართული საზღვაო დარგისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები:

ჭურჭელი –წყალზე მიმოსვლის საშუალებათა უძველესი ქართული სახელწოდება **ჭურჭელი** იყო. ქეგლ-ის მიხედვით **ჭურჭელი** „ღრუ ნივთების საერთო სახელია . ეს ტერმინი ნავის მნიშვნელობით გვხვდება ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრებაში“.

უძველესი დროიდან ქართულ ენაში გაჩნდა მეორე ზოგადი ტერმინი „ნავი“ (ინდო-ევროპული წარმოშობის სიტყვაა), რომელმაც ხმარებიდან გამოდევნა **ჭურჭელი**.

საბელი-ნაპირთან ნავის დასაბმელი თოკი („არს საბელი ყოველთა უსხოსი, ნავთა ღუზათა მოსაბმელი“-საბა).

საჭე – უძველესი ქართული სიტყვაა. საჭის მმართველს ქართველები მესაჭეს უწოდებდნენ. ამავე მნიშვნელობით იყენებდნენ ისინი ტერმინებს: „ნავის მხერვალი“, „ნავის მავლინებელი“. ასევე საკუთრივ ქართული წარმოშობის სიტყვასაც „მპირველობი“.

კიდე ან **კიდევ** პირი ეწოდებოდა ზღვის ნაპირის.

სადგომი, ნავთსაყუდელი– ნაპირთან ახლოს, ხომალდები ან ნავეები მოხერხებულ ადგილას ჩერდებიან. ასეთ ადგილს ქართველები „სადგომს“ , „ნავთსაყუდელს“ უწოდებდნენ.

უბე – ნავის სათავსოს აღნიშნავდა. (978 წელს გადაწერილი „ომკის ბიბლიის“ ერთ წიგნში, რომელსაც იოანეს წინასწარმეტყველება ეწოდება, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ადგილმა: „ხოლო იოანე შთავიდა **უბესა** მის ნავისა და ეძინა“).

კერძო – ძველ ქართულში ნაწილს, მხარეს აღნიშნავდა.

ნავის დაქცევა – ნავის დაშლას ნიშნავდა.

სათრეველა – თოკი, რომლითაც ზღვის ან მდინარის გასწვრივ ადამიანი ან საგანგებოდ შებმული პირუტყვი მიათრევედა ნავს.

ცალფა, ნიში, ვარცლი – აქედან ყველაზე გავრცელებული სწორე ვარცლი იყო. იგი ერთი მთლიანი ხისაგან გამოთლილი ნავის სახელწოდებაა. ვარცლის ფორმის ნავეებს **ვარცლა ნავებსაც** უწოდებდნენ.

თურქული ენიდან შემოსული ტერმინები:

ტაქოზი – ნაპირზე ნავის ამოსათრევად აჭარაში და ლაზეთში **ტაქოზსაც** იყენებდნენ. (თურქ. **takoz**) =ხის მორს.

დირეგი –(თურქ. **Direk**) = „ბომს“ , „ანძას“. თურქულის გავლენით მეზღვაურს ლაზები **გემიჯის** უწოდებენ (თურქ. **Gemici**). – **ci** თურქულში პროფესიის აღმნიშვნელი სუფიქსია.

კაბურღა –(თურქ. **kaburga**)= ნავის გვერდები.

ტაბანი–აჭარასა და ლაზეთში ნავის ძირის ფიცარს ეწოდება (თურქ. **Taban**).

იტალიური და ლათინური ენებიდან შემოსული საზღვაო ტერმინები:

ანძა – მოჭრილ ხეს, რომელზეც ტილოს ჭიმავდნენ, ჩვენი წინაპრები ძელს უწოდებდნენ. ასეთ შვერილს ლათინურად „ansa”–„ანსა“ ეწოდებოდა. ეს ტერმინი ჩვენში **ანძის** ფორმით შემოვიდა და დამკვიდრდა.

გალერა– სამანძიანი ნავი, ათას კაცს იტევდა.

კაპიტანი – ლათინური სიტყვიდან „კაპუტიდან“ მოდის, რაც **თავს** ნიშნავს.

ბერძნულიდან შემოსული ტერმინები:

ლიმენა /ლიმონა / ლიმონი –ბერძნული „ლიმენას“- იდან მოდის და ნავსადგურს თუ ნავსაყუდელს აღნიშნავს.

ოკეანოს / უკიანეს ძველ ქართულში ზოგადად ოკეანესაც ნიშნავდა და კონკრეტული მნიშვნელობაც ჰქონდა. ზოგჯერ **უკიანოს** ქართველები ხმელთაშუა ზღვის აუზსაც უწოდებდნენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ნაოსნობის ისტორიას და საზღვაო საქმეს საქართველოში დიდი და ხანგრძლივი ისტორია აქვს, რაც თავის მხრივ, აისახებოდა იმ დროის ქართულ სამწერლობო ენაში და შესაბამისად, საზღვაო ტერმინოლოგიაში.

§ 3. ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის სემასეოლოგიური დახასიათება

3.1. პოლისემია

პოლისემია ინგლისური ენისთვის ერთობ დამახასიათებელი მოვლენაა. ინგლისური ენის სიტყვები, მხედველობაში გვაქვს ინგლისური საზღვაო დარგის ლექსიკა, მრავლად გვხვდება ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაში. ენაშიც და ტერმინოლოგიაშიც პოლისემია შეიძლება გამოიწვიოს უცხო ენიდან თარგმნამაც: თუ სიტყვას ინგლისურ საზღვაო ტერმინოლოგიაში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, იგი შეიძლება გადმოჰყვეს ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაშიც. საილუსტრაციოდ განვიხილავთ პოლისემიური მნიშვნელობის ტერმინებს ინგლისურსა და ქართულ ენებში.

Tank

მნიშვნელობები ინგლისურ ენაზე	მნიშვნელობები ქართულ ენაზე
1. container for liquid or gas	1.სითხისა და აირის საცავი
2. tanker-truck,cistern	2. ცისტერნა

3.reservoir	3. საცავი
-------------	-----------

yard

მნიშვნელობები ინგლისურ ენაზე	მნიშვნელობები ქართულ ენაზე
1.warehouse (an outside area used for storage)	1.საწყობი
2.work area (an enclosure within which any work or business is carried on, often used in combination with navy yard)	2.გემთსაშენი ვერფი, საპორტო სახელოსნო
3. a unit of measurement .	3. იარდი (სიგრძის საზომი)

ტერმინებს ახასიათებთ **მეტაფორული** დატვირთვა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთსიტყვიან და ორსიტყვიან ტერმინებს, რომლებიც არსებითი სახელებით არიან გადმოცემული და რომლებიც ასევე ადამიანის სხეულის ნაწილებს ან ტანსაცმელს აღნიშნავენ.

სხეულის ნაწილები	ტერმინები
1. body – სხეული	1.body – კორპუსი
2.skin – კანი	2.skin – ფენა,გარსი
3.hand – ხელი	3.hand – სახელური

ტანსაცმელი	ტერმინი
1.skirt – ქვედაბოლო	1.skirt – კალთა(დღუშის)
2.crown – გვირგვინი	2.crown – გვირგვინი(კბილანას)
3.jacket – ჟაკეტი	3. jacket – გარსაცმი
4.cap – კეპი	4.cap – ხუფი

ორსიტყვიანი ტერმინები მეტაფორულად გამოხატავენ ადამიანის სხეულის ნაწილებს. ისინი გვხდება მხოლოდ ინგლისურსა და ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიებში და არა საერთო ენაში. ამ ტიპისაა:

- 1.coil head – კოჭის თავი (ქართ;ინგ)
- 2.lifting eye – ამწეს მარყუჭი(ინგ)
- 3.welding head – შედუღების ტექნიკის თავი(ქართ;ინგ)

3.2. ომონიმია. ერთ-ერთი ლექსიკოგრაფიული ფიქსაციისა და პრაქტიკული ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების საკითხს უკავშირდება ასევე **ომონიმის** წარმოშობა ტერმინოლოგიაში. ომონიმის არსებობა მცირედ, მაგრამ მაინც არის დამახასიათებელი დარგობრივი ტერმიოლოგიებისთვის. გამონაკლისი არც საზღვაო

დარგია. ჩვენ შევეცადათ და მოვიძიეთ საილუსტრაციოდ მაგალითები, ომონიმური წყვილები ინგლისური ენიდან:

სიტყვა საერთო ენაში	ტერმინი საზღვაო სფეროში
1. shell –ნაჭუჭი,გარსი,ნიჟარა	1. shell –კორპუსი(გემის)/ნიჟარა
2. wheel – თვალი,ბორბალი	2. wheel – საჭევარი(გემის)/თვალი(ტექ)
3. pot – ქოთანი,ქვაბი	3. pot – რეზერვუარი /ჭა(ტექ)
4. line–ხაზი,მწკრივი	4. line –მილსადენი/მაგისტრალი

ლექსიკურ-სემანტიკური ომონომიის გარდა არსებობს სხვა შემთხვევებიც, როცა სიტყვა-ტერმინი გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციით. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ინგლისურ საზღვაო ტერმინოლოგიაში. კერძოდ, ერთი და იგივე ტერმინი შეიძლება იყოს არსებითი სახელიც და ზმნაც. ამის დამადასტურებელია ქვემოთ მოყვანილი მაგალითები:

არსებითი სახელის ფუნქციის მატარებელი ინგლისური საზღვაო ტერმინები:	ზმნის ფუნქციის მატარებელი ინგლისური საზღვაო ტერმინები
1.a ship– გემი	1. to ship (to ship goods) –გადაზიდვა(ტვირთის გადაზიდვა)
2.a draft– ნახაზი, გეგმა	2.to draft (to draft a contract,to draft a plan) ხელშეკრულების გაფორმება, გეგმის შედგენა
3. a dock– გემთშემკვებელი ქარხანა	3. to dock –შეკეთება (გემის)

3.3. ეპონიმია. სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ტერმინოლოგიაში საკუთარი სახელები საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. გვარ-სახელით წარმოებული ტერმინების შექმნა სავსებით დასაშვებია ცალკეულ შემთხვევებში გარკვეული პირობების დაცვისას: 1) ცნება, რომელსაც ვუთავსებთ გვარ-სახელოვან ტერმინს, უნდა იყოს დაკავშირებული აღმოჩენასთან, პროცესთან, რომელსაც მეცნიერებისა და ტექნიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს; 2) გვარ-სახელით წარმოებული ტერმინი უნდა იყოს დაკავშირებული იმ პირთან, ვისაც უშუალოდ ეხება ეს აღმოჩენა, ან ვინც ხელი შეუწყო ამ აღმოჩენას; 3) გვარ-სახელით წარმოებული ტერმინი მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ტერმინოლოგიური ელემენტის სახით მასთან დაკავშირებულ შედგენილ ტერმინებში. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ საკუთარი

სახელებით წარმოებული რამდენიმე ტერმინოლოგიური სიტყვათშეთანხმების ნიმუშებს, რომლებიც ხშირად გამოიყენება საზღვაო სფეროში:

Volt – ვოლტი (ქართული შემოკლება ვ, საერთაშორისო V) — SI სისტემაში ელექტრომამოძრავებელი ძალისა და ძაბვის (წარმოებული) ერთეული. ამ ერთეულს სახელი ეწოდა იტალიელი ფიზიკოსის ალესანდრო ვოლტას პატივსაცემად(1745–1827). მან გამოიგონა ვოლტას სვეტი, თანამედროვე ქიმიური ბატარეის ერთ-ერთი პირველი პროტოტიპი.

Watt – ვატი (აღნიშვნა: ვტ) - სიმძლავრის ერთეული SI სისტემაში. აღსანიშნავია, რომ ერთი ცხენის ძალა ტოლია 735.5-დან 750-მდე ვატისა.

Joule – ჯოული (ქართული შემოკლება ჯ, საერთაშორისო J) — SI სისტემაში ენერჯის ერთეული. მას სახელი ეწოდა ინგლისელი ფიზიკოსის, ჯეიმზ პრესკოტ ჯოულის პატივსაცემად. განმარტებით, 1 ჯოული არის ენერჯია, რომელიც იხარჯება 1 ნიუტონი ძალის მიერ რაიმე სხეულის 1 მეტრით გადაადგილებისას.

Newton – ნიუტონი (ქართული აღნიშვნა: ნ, საერთაშორისო:N) — ძალის ერთეული ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში. ეს სახელი მიენიჭა ინგლისელი ფიზიკოსის ისააკ ნიუტონის პატივსაცემად.

Diesel – აღნიშნავს შიდაწვის ძრავას, ამ ერთეულს სახელი ეწოდა გერმანელი ინჟინერ-მექანიკოსის პატივსაცემად, ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება ქართულ და ინგლისურ საზღვაო ტერმინოლოგებში.

3.4. სინონიმია

სინონიმები ტერმინოლოგიური ენის კიდევ ერთი პრობლემაა. სინონიმებს, რომლებიც არც მნიშვნელობით, არც კონტექსტურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, აბსოლუტურ სინონიმებს, ანუ ლექსიკურ დუპლეტებს ეძახიან. აქ სინონიმურ წყვილში მნიშვნელობა ემთხვევა ერთმანეთს.

ქართული საზღვაო ტერმინების სინონიმური მწკრივები:

1. საჭე, ტიმონი, დიუმენი, აფთიონი (მვ.ქ.)
2. გემი, ხომალდი
3. ადგილი, ადგილმდებარეობა
4. კვანძი, ნასკვნი
5. ხოპი, ნიჩაბი
6. სილა, ქვიშა
7. საბელი, თოკი, ბაგირი.

ძირითადი ენის ლექსიკურ სისტემაში სინონიმთა ორ ჯგუფს გამოყოფენ:

- ა) ლექსიკური ჯგუფი
- ბ) გრამატიკული ჯგუფი(მორფოლოგიურს, სინტაქსურს)

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიაში გვხვდება შემდეგი ტერმინები:

1. სამკუთხიანი / სამკუთხა

- 2. მიუვალი/მიუდგომელი/გაუვალი
 - 3. უშრეტი/ დაუშრეტელი
- ქართული საზღვაო ტერმინის გვერდით ფეხს იკიდებს საერთაშორისო ტერმინი:

ქართული ტერმინი	საერთაშორისო ტერმინი
1. აირი	გაზი
2. მინანქარი	ემალი
3. საწური	ფილტრი

არსებითი სახელით გამოხატული სინონიმური წყვილები საზღვაო ტერმინოლოგიაში, მაგალითად:

- 1. საყრდენი/საბრჯენი
- 2. სახელური / ტარი
- 3. რიგი / მწკრივი

ზმნით გამოხატული სინონიმური წყვილები:

- 1. ქანაობა / რხევა / რწევა
- 2. მსხვრევა / მტრევა
- 3. მონიშვნა / აღნიშვნა
- 4. განცალკევება/დაყოფა

3.5. ანტონიმები

ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაში ანტონიმის ორი ტიპი გვხვდება: ლექსიკური და სიტყვაწარმოებითი. ანტონიმის სიტყვაწარმოებითი ტიპი ერთი და იმავე სიტყვების მაწარმოებლის საშუალებით დაპირისპირებას გულისხმობს. ესენი საერთო ძირის მქონე სიტყვებია. ინგლისური ენა ამ შემთხვევაში იყენებს სუფიქსებს (**dis, un, non, in**). ქართული ენა კი– უარყოფით არა ნაწილაკს, ასევე, უქონლობის მაწარმოებელ უ-ო, უ-ურ/ულ, უ- აფიქსებს:

- თანაბრობა – უთანაბრობა
- მიმართული – არამიმართული
- წყნარი – არაწყნარი
- მშვიდი – არამშვიდი
- წონასწორობა – უწონასწორობა
- სწორი – უსწორობა
- ძლიერი – უძლური
- აირიანი – უაირო
- წყლიანი – უწყლო
- გასასვლელი – გაუვალი
- დატვირთვა–გადმოტვირთვა –load – unload
- ჩართვა –გათიშვა –connecting – disconnecting
- უნარიანობა –უუნარობა –ability – disability

გამტარი– გაუმტარი – conductor – nonconductor

ასვლა– ჩამოსვლა(გემზე) – embark – disembark

უნარიანი – უუნარო –capable – incapable

სწორი – არასწორი –correct – incorrect

დადასტურდა ზმნური ანტონიმის შემთხვევებიც ორივე ენის

ტერმინოლოგიაში:

tight – slack /მოჭერა – მოშვება

push – pull/ – კვრა – წევა

rig – hoist /– დაწევა – აწევა

arrive – depart/ – მოსვლა – წასვლა, ჩამოსვლა – გამგზავრება

suspend – resume /– შეჩერება – განახლება

marry – divorce – შეერთება – გაწყვეტა(კაბელის)

load – unload/ – დატვირთვა–გადმოტვირთვა

ინგლისურ საზღვაო ტერმინოლოგიაში ანტონიმებს ახასიათებთ ისეთი

სინტაქსური კონსტრუქციები (ზმნა + წინდებული (V + Preposition), რაც არაა

დამახასიათებელი ქართული საზღვაო ტერმინოლოგიისთვის:

1.walk out – walk back –ჩაშვება – ამოღება (ღუზის)

2.pay out – pay in– ჩაშვება – ამოღება

3.veer in – veer out –მოჭიმვა – მოშვება

ანტონიმების ყველაზე გავრცელებული შემთხვევები ზედსართავებში

გვხვდება,რაც ახასიათებს ორივე ენის ტერმინოლოგიას.

1.wide pass – narrow pass; ვიწრო /განიერი გასასვლელი

2.small boat – large boat; პატარა/დიდი ნავი

3.low pressure – high pressure ; დაბალი/ მაღალი ძაბვა

4.open circuit – closed circuit ; ღია/დახურული წრედი

5.good visibility – poor visibility; კარგი /ცუდი ხილვადობა

ნაოსნობა-ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების სიმრავლე, ნაირფეროვნება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ეს დარგები საქართველოს ისტორიის, ქართველთა ყოფა-ცხოვრების რეალური სინამდვილეა. ტერმინების სტრუქტურა და სემასეოლოგიური დახასიათება ერთი მხრივ წააგავს სხვა დარგობრივ ტერმინოლოგიებს, მაგრამ აშკარაა განსხვავებაც. ამ განსხვავებას კი ქმნის დარგის სპეციფიკა.

თავი 2. ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის თანამედროვე მდგომარეობა

2.1. ქართული საზღვაო ტერმინოლოგია (XVIII-XX ს 80 წლებამდე)

ქართული საზღვაო ტერმინოლოგია დღესაც ფორმირების პროცესშია. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში საზღვაო ტერმინები განმარტებული აქვს სულხან-საბას

თავის განმარტებით ლექსიკონში „ლექსიკონი ქართული“, ანუ „სიტყვის კონა ქართული“. ლექსიკონი ენციკლოპედიურ და თარგმნით ხასიათს ატარებს. მასში საკმაოდ საიტერესოაა განმარტებული საზღვაო ტერმინები.

აფთიონი- ნავის სამართი ტიმონი

აფრა- ქუდის ანაკეცი, შინა ნავის აფქიო

ზღუა – შესაკრებელი წყალთა.

ზღვის კაცი – ზღვაში მოარულნი

ზღვის პირი – ზღვის კიდე

მენავე – ესენი არიან ყოველნი ნავთა მუშაკნი.

ილია აბულაძის ლექსიკონში დადასტურებულია შემდეგი ტერმინები:

აფრა – ხომალდის (ნავის) ანძაზე მიმაფრებული საგანგებო ტილო ხომალდის ასამოძრავებლად ქარის ძალის გამოყენებით.

მენავე – ნავის პატრონი, ნავის წამყვანი.

ზოგ შემთხვევაში ი. აბულაძეს ს.ს. ორბელიანის განმარტებებიც აქვს გამოყენებული.

ნიკო ჩუბინიშვილის ლექსიკონში განმარტებულია და ნათარგმნია რუსულად რამოდენიმე საზღვაო ტერმინი. მაგ:

ანძა –ნაქუსი, ძალა, ძელი აღმართული.

ნავტიკი – მცირე ტივი, ანუ ლასტი, ქვეშედად გაბერილის გუდებით მოკრული წყალში გასავლელად.

ნავი –ზოგად ყოველი ხის ნაგები წყალში შინა სავალად.

საზღვაო ტერმინების შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს ტექნიკური საზოგადოების მიერ გამოცემული ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (1920-21წწ.).

ამ ლექსიკონის გადამუშავებითა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ტერმინთა შევსებით 1935 წელს გამოვიდა ტექნიკური ტერმინოლოგია, რომლის შედგენაზე მუშაობდნენ საუკეთესო ინჟინრები და ენათმეცნიერები. ეს ტერმინოლოგია სრული არ იყო, მაგრამ მტკიცედ დადგენილ ტერმინთა ძირითად მარაგს შეიცავდა და ამიტომაც მან დიდი სამსახური გაუწია ახლადფეხადგმულ ტექნიკურ მეცნიერებას. წლების განმავლობაში გამოირკვა, რომ საჭირო იყო მისი შევსება –გადამუშავება,

ახალი დარგებით გამდიდრება და მოუქნელი ტერმინების უფრო მარჯვე და ზუსტი შესატყვისებით შეცვლა.

ტექნიკურ ტერმინოლოგიაში მთავარ სათარგმნ ერთეულად აღებულია არსებითი სახელი ბუდის თავში, ხოლო ყველა სხვა სიტყვა (განსაზღვრებები, სხვა ამხსნელი სიტყვები თუ გამოთქმები) ამ არსებითთან იყრის თავს ბუდეში. რუსული არსებითი სახელი ბუდეში ყველგან შეკვეცილია. მაგ.: Подшипник საკისარი; п. Антифрикционный ანტიფრიქციული საკისარი; п. Бочкообразный კასრისებრი საკისარი; п. Качающийся მოქანავე საკისარი და სხვა. ანალოგიურად დი-ს საპირისპირო **недо** ზმნისწინის გადმოსაცემად გამოყენებულია უკმარ ფუძე:

- 1.недобуривание უკმარბურღვა
2. недонапряженный უკმარძაბული
- 3.недомер ზომაკმარი

შემდეგი ლექსიკონი, რომელშიც შესულია საზღვაო ტერმინები, არის რუსულ-ქართული ლექსიკონი (თბილისი, 1957). იგი გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ.

- баркас - ოჩხომელი, ბარკა
- бриг – ბრიგი, ორანძიანი ხომალდი
- вахта – ვახტი, საგუშაგო, ცვლა (გემზე)
- ватерлиния - წყალხაზი
- корабль – გემი, ხომალდი

რაც შეეხება პირველ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონს, რომელშიც შესულია 20 000 სიტყვა, საქართველოში გამოვიდა 1939 წელს. მისი შემდგენელი ისიდორე გვარჯალაძე იყო. „გვარჯალაძის ლექსიკონი“ არაერთგზის გამოიცა, გამოვიდა მისივე ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, ინგლისურ-ქართული ანდაზების ლექსიკონი. ამ სერიის ბოლო წიგნები დაიბეჭდა 1975 წელს – „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ (40 000 სიტყვა) და 1979 წელს – „ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“ (40 000 სიტყვა).მასში შესულია შემდეგი საზღვაო ტერმინები:

- bilge – გემის წყალქვეშა ნაწილი
- to break bulk – გადმოტვირთვის დაწყება
- gang-board – საბიჯელა
- gangway – საბიჯელა
- moor – გემსაბმელით მიბმა
- rough sea – მძვინვარე ზღვა
- row-boat – ნიჩბიანი ნავი
- rudder – საჭე (გემის)

2.2. ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის მდგომარეობა (XX ს 80-იანი წლების შემდეგ)

1985 წელს გამოვიდა „საზღვაო ტერმინოლოგია“. ეს არის სპეციალური დარგობრივი ლექსიკონი. ის შედგენილია რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ენებზე. ლექსიკონის ავტორია შორეული ნაოსნობის ინჟინერ-კაპიტანი ვახტანგ ბარათაშვილი. 1968 წ. ვ. ბარათაშვილის მიერ შეგროვილი მასალა „საზღვაო ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული ნაწილი) 6000 ტერმინის რაოდენობით შესაბამის ორგანიზაციათა მიერ გადმოეგზავნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს განსახილველად და დასამტკიცებლად. მასალას თან ახლდა სპეციალისტთა რეცენზიები და შენიშვნები. საზღვაო ტერმინოლოგიის თითოეული ნაწილი მოიცავს 10000 ტერმინსა და ტერმინოლოგიურ გამოთქმას. მასალა ლექსიკონში ანბანური წესითაა განლაგებული. მაგალითად:

Бот моторный – ძრავიანი ბოტი

Боут – ბოუტი

Бочка буй – ბუი კასრი

Бойлер – ბოილერი

Брашпиль – ბრაშპილი

Бридждек – ბრიჯდეკი

Бросить за борт! გადააგდეთ ზღვაში!

Буй светящий – მნათი ბუი

Вахта дневная – დღიური ვახტი(დღის)

Весла на воду! ნიჩბები წყალში!

Деррик-кран – დერიკ-ამწე

Диптанк – დიპტანკი

2010 წელს გამოიცა სამენოვანი (ინგლისურ-რუსულ-ქართული) საზღვაო ლექსიკონი. ის შედგენილია შორეული ნაოსნობის ინჟინერ-გემთმექანიკოსის როლანდ რიჩკოვის მიერ. საზღვაო ლექსიკონის დანიშნულებაა მეზღვაურებს, საზღვაო დარგის მუშაკებს, საზღვაო სასწავლებლების კურსანტებს დახმარება გაუწიოს ქართულენოვანი საზღვაო ტერმინების ათვისებაში.

Rail – ლეერ – ლეერი

Dock – დოკ – დოკი

Beacon – сигнальный буй, бакен – სასიგნალო ბუი, ბაკენი

Reverse – реверс – რევერსი

Receiver – ресивер – რესივერი

Fitting – фитинг – ფიტინგი
 Adjusting screw – регулировочный винт – სარეგულაციო ხრახნი
 Bypass valve – байпасный клапан – ბაიპასის სარქველი
 Bypass tube – байпасная труба – ბაიპასის მილი
 Deadweight scale – шкала дедвейта – დედვეიტის სკალა
 Forepeak – форпик – ფორპიკი
 Afterpeak – ахтерпик – ახტერპიკი
 Anchorage – якорная стоянка – ლუზაზე სადგომი
 Buoy – буй, буюк – ბუი, ტივარა
 Tackle – такелаж – ტაკელაჯი
 Log – лаг – ლაგი
 Roller – роульс – როულსი
 Hold – трюм – ტრიუმი
 Gangway – трап – ტრაპი
 All hands job – аврал – ავრალი
 Cabin – кабина, каюта – კაბინა, კაიუტა
 Pillar – пиллерс – პილერსი
 Stern ramp – кормовая аппарель – კიჩოს აპარელი

როგორც დამოწმებული მასალა ცხადყოფს, ბევრი ტერმინი ინგლისურია, დიდი ადგილი უჭირავს რუსულენოვან ტერმინებს, ბევრია კალკირებული. დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში ყველაფერი მიმართულია იმისაკენ, რომ შეიქმნას უნიფიცირებული ტერმინოლოგიური სისტემა.

2.3. რუსული როგორც მედიატორი ენა ქართულ საზღვაო ლექსიკაში

რუსული ენიდან შემოსული სიტყვები ქართულში ბარბარიზმებადაა ქცეული. ისინი ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობის სფეროში, ოჯახში გამოიყენება. შეიძლება ითქვას, ლექსიკის ერთი ნაწილი ბარბარიზმებს ეთმობა. ასეთებია: ლამპოჩკა, კრასკა, ატვიორკა, სტოლი, დრელი, პლოსკო, და ა.შ. ანალოგიური სიტუაციაა ქართულ საზღვაო ლექსიკაშიც:

1. ბაკი და არა კასრი
2. ვედრო და არა სათლი
3. ატვიორკა და არა სახრახნისი
4. რეიკა და არა ძელი
5. ნასტილი და არა ნაფენი/ფენილი
6. სვარკა და არა შედუღება

დღესდღეობით სესხება უმეტესად პირდაპირ წერილობითი, ზეპირი, ან ელექტრონული წყაროებიდან ხდება. საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამდე კი სიტყვების სესხება გაცილებით არაპირდაპირი იყო. იგი

წერილობით წყაროებზე იყო დამოკიდებული და ხდებოდა იმ ენის გავლით, რომელიც გაბატონებული და პრესტიჟული იყო საზოგადოებაში. ქართული ენისთვის ასეთი ენა რუსული იყო თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში. ასევე ბევრი ტერმინი იქმნებოდა გავრცელებული სიტყვაწარმოებითი კალკებით. რუსული ენიდან კალკირებით შემოსული სიტყვებია:

გემთწევა –судоподъем
წყალსადენი–водопровод
წყალსაზომი –водомер
ამწყობი –настройщик
ცეცხლსაშიში –огнеопасный

არსებობს ასევე სემანტიკური კალკები, რომლებიც სიტყვასიტყვითი თარგმნის შედეგად მიიღება, ისინი ძალზე გავრცელებულია ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაში:

გრუნტი თხევადი – грунт жидкий
გრუნტი კენჭოვანი – грунт галечный
გრუნტი კლდოვანი – грунт скалистый
გრუნტი ლაქებიანი – грунт пятнистый

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის დიდი ნაწილი, რუსულის როგორც მედიატორი ენის, მეშვეობით ნასესხები, კერძოდ, კალკირებით შემოსული ლექსიკური ერთეულებია. ძირითადად გვხვდება ერთ და ორ სიტყვიანი ტერმინები, რომლებიც ძირითადად მოტივირებულია.

§ 2.4. გლობალიზაცია და ქართული საზღვაო ტერმინოლოგია

ლექსიკა ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია ენისა. იგი ფეხდაფეხ მისდევს ცხოვრებას, განუწყვეტლივ ივსება ახალი სიტყვებით, გამოთქმებით, რომლებიც ხალხის, საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას ასახავს. საზოგადოების პროგრესი კი ქმნის ენის ლექსიკის გამდიდრების მყარ ნიადაგს. ყოველ ენას, მათ შორის ქართულსაც, მოეპოვება ლექსიკის გამდიდრების საკუთარი საშუალებები. ასეთებია: სიტყვაწარმოება, სესხება, თხზვა, რედუქლიკაცია. ყველაზე გავრცელებული და პროდუქტიული საშუალებაა სიტყვაწარმოება და სესხება. კომუნიკაციების სფეროში, და კერძოდ,

საზღვაო კომუნიკაციების სფეროში, გლობალიზაციის პროცესს ხელი მეტად შეუწყობს **კომპიუტერული და ელექტრონული ტექნოლოგიების (კომპიუტერული რევოლუციისა),** სატელეფონო კავშირების, ელექტრონული მიმოწერის, ელექტრონული რუკების განვითარებამ. გლობალიზაციის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა და ბიძგისმიმცემი ინტერნეტია. ქართველი მომხმარებელი ამ მხრივ არ ჩამორჩება გლობალიზაციის პროცესს და ისინი ინტერნეტის მეშვეობით ამყარებენ კონტაქტს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხესთან. ელექტრონული მიმოწერის საშუალებით ხდება სხვადასხვა უცხოური საზღვაო კომპანიების ერთმანეთთან დაკავშირება, ქართველი მეზღვაურების მონაცემთა ბაზის სათანადო შერჩევა და გადაგზავნა კონკრეტული თანამდებობისთვის უცხო კომპანიებში და ასევე პირდაპირი ჩართვით ანუ ისევ ინტერნეტ ტექნოლოგიების საშუალებით, მეზღვაურებს ინგლისურ ენაზე უტარდებათ გასაუბრება, რის შემდეგაც ოფიციალურად ფორმდება ხელშეკრულება ქართველი მეზღვაურის დასაქმების თაობაზე.

გლობალიზაციის ტენდენციათა გათვალისწინებით თანამედროვე ქართულ ენას მჭიდრო ურთიერთობა უწევს დღეს მსოფლიო დომინანტ „lingua franca“-დ წოდებულ ინგლისურთან (Lingua franca-იტალიური სიტყვაა. ფრანკების ენა, რომელიც ერთხანს ხმელთაშუა ზღვის საპორტო ქალაქების საერთაშორისო ენა იყო). ინგლისური, როგორც საერთაშორისო ენა, უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა და მისი ზეგავლენა, როგორც უკვე ვახსენეთ, საქართველოშიც იგრძნობა. XXI საუკუნის დასაწყისში ქართული ენა და ასევე ქართული საზღვაო სფერო ხდება ინგლისური ლექსიკური ერთეულების აქტიური მიმღები (რეცეპტორი), რაზეც გავლენა იქონია ასევე იმ ფაქტმა, რომ საერთაშორისო საზღვაო სტანდარტების გათვალისწინებით, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში, ქართველი მეზღვაურები შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გამოცდებს აბარებენ ინგლისურ ენაზე. ინგლისური ენა წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო საკომუნიკაციო ენას და მისი ცოდნა პროფესიულ ცოდნასთან ერთად აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მეზღვაურმა მიიღოს გემზე მუშაობის უფლება.

ენაში მრავლად იჭრება და თანდათან მკვიდრდება ინგლისური ბარბარიზმები, რომლებიც მკვიდრ სიტყვებს განდევნიან. ამ მხრივ ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის მაგალითების დასახელება სრულიად ნათელ სურათს ქმნის:

ლაინ-ი ხაზი/ზღვარი – Line

მანუა-ლური/ლი – ხელსამართი/ სახელმძღვანელო – Manual

ბილინგი – ანგარიშფაქტურა – Billing

სუპერვაიზერი – ზედამხედველი, მეთვალყურე – Supervisor

შიფტინგი – გადაადგილება – Shifting

დედვეითი – სრული ტვირთამწეობა – Deadweight

პალეტები – ხის საბჯენი, დანადგარი, რომელზეც იტვირთება ტვირთი – Pallets

ფიდერი – მკვებავი ელექტრონული სადენი – Feeder

ფედიინგი – რადიოტალღების მინელება/მოსპობა – Fading

ბუქინგ-ნოუტი – საზღვაო გადაზიდვის კონტრაქტის ნაირსახეობა... – Booking-note

დილინგი – საქმიანი კავშირი, გარიგება – Dealing

ნოუტისი – დამფრახტავისადმი კაპიტნის წერილობითი შეტყობინება გემის ჩატვირთვის/გადმოტვირთვის თაობაზე – Notice

ქართველ მეზღვაურს ხშირად უხდება ძალაუნებურად ინგლისური ერთეულების გამოყენება ნაცვლად ქართული ტერმინებისა შემდეგი მიზეზების გამო:

1) ქართული ბუნებრივი ეკვივალენტის არცოდნა

2) ზოგიერთი ტერმინის ქართულად გადმოცემისათვის გვჭირდება რამდენიმე სიტყვა.

3) ენობრივი პრესტიჟი – (ფრანგ. prestige - მოჩვენებითობა) საზოგადოებაში გავრცელებული განწყობა, რომელიც (გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად) რომელიმე უცხოურ ენას გაცილებით უფრო მაღალ ფასეულობას მიაწერს, ვიდრე საკუთარს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინგლისური ენა, როგორც პრესტიჟული ენა, მსოფლიო ენის სტატუსითაც სარგებლობს, ის ორი, სხვადასხვა ენის მატარებელი ხალხის, საქმიანი ადამიანის ურთიერთობის დამყარების საუკეთესო საშუალებაა, რაც კარგად შეიმჩნევა თანამედროვე ქართულ საზღვაო კომუნიკაციაში.

§ 2.6. ინგლისურ ერთეულთა გამოყენების ინტენსიურობა ქართულ საზღვაო ლექსიკაში ბოლო წლების განმავლობაში

ინგლისური ენის გავლენის შედეგია ის, რომ მიმღები ენა სესხულობს სიტყვებს, ახდენს მათ გარკვეულ ადაპტაციას. საბოლოოდ კი მათი ინტეგრირება მოხდება ენა რეცეპტორის ლექსიკონში.

საილუსტრაციოდ ჩამოვთლით ტრანსლიტერაციის საშუალებით შემოსულ ინგლისურ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ძალიან ხშირად გამოიყენება თანამედროვე ქართულ საზღვაო ლექსიკაში: სტივიდორი, ტრანსფერი, დოკი, პირსი, ვერფი, ბოილერი, შიფტინგი, დედვეითი, ლაინი, ოვერტაიმი, ფესიჯი, ლოგბუქი, სიმენსბუქი, რელინგი, დაივინგი, ოფშორული, ოფშორი, რეფრემენტი, ლაინერი, პოზიცია, პრევენცია, ვოიჯი, ტური, დოკერი, ნოუტისი, რევერსი, ლიფტი, ტვინდეკი, ტაიმშიტი.

თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები:

- 1.chief-ჩიფი - /კაპიტნის თანაშემწე
- 2.fitter-ფიტერი /ტექნიკოს-მექანიკოსი
- 3.wiper – ვაიპერი /მექანიკოსის დამხმარე
4. docker – დოკერი/ დატვირთვაგანტვირთვის სამუშაოებით დასაქმებული მუშა
- 5.cook – კუკი/გემზე მზარეული
- 6.master – მასტერი /კაპიტანი

საზღვაო გადაზიდვა:

ტაიმშიტი – დოკუმენტი, რომლითაც აღირიცხება სადგომი დრო. ტაიმშიტის საფუძველზე ხდება ანგარიშსწორება გემის მფლობელსა და პორტს შორის

ტაიმ-ჩარტერი- ხელშეკრულება სავაჭრო გემის იჯარით აღებაზე გარკვეული დროით, ჩვეულებრივ არაუმეტეს თორმეტი თვისა.

§ 2.7. ინგლისური ერთეულების ადაპტაციის თავისებურებები

სესხების დროს ხდება ფონეტიკური და გრამატიკული სუბსტანცია-ჩანაცვლება. ენობრივი ერთეული იძენს ნაწილობრივ ახალ გამოხატულებასა და შინაარსს. ნასესხები ენობრივი ერთეულის ადაპტაციის (ლათ.-მისადაგება), ანუ მსესხებელი ენის სისტემისადმი შეგუების, მისადაგების ხარისხს განსაზღვრავს ამ ერთეულის ხმარების სიხშირე და ზოგიერთი სხვა ფაქტორი. პირობითად შეიძლება გამოვყოთ ადაპტაციის ოთხი დონე :

1) ორთოგრაფიული დონე – რათა გამოჩნდეს, როგორ ადაპტირდება ინგლისური ერთეულის მართლწერა მიმღები ენის ორთოგრაფიასთან (diving – დაივინგი, dock – დოკი).

2) ფონოლოგიური დონე – რათა აიხსნას ინგლისური ტერმინის წარმოთქმა განსაკუთრებით მაშინ, როცა ის განსხვავდება ინგლისური ეტიმონისაგან (forward – ფორვარდი, fitter – ფიტერი).

3) მორფოლოგიური დონე – იმის საჩვენებლად, თუ რა მორფოლოგიურ ცვლილებებს განიცდის უცხო ერთეული (location – ლოკაცია, maneuvering – მანევრირება).

4) სემანტიკური დონე – იმის განსასაზღვრელად, ინგლისური ეტიმონის რომელი მნიშვნელობა გადმოვიდა შესაბამის ერთეულში (position – პოზიცია).

ტერმინოლოგიური მუშაობისადმი ინტერესი განსაკუთრებით იზრდება დღეს. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ენაში არსებული ლექსიკური ფონდის, მასთან დაკავშირებული პრობლემების პოტენციალისა და პერსპექტივების საკითხებით, ლექსიკოგრაფიული და ტერმინოლოგიური მუშაობით დაინტერესებული მკვლევრებისთვის.

თავი 3. თანამედროვე ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის მოწესრიგება და პერსპექტივები

3.1. ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის საკითხები

დარგობრივ ტერმინოლოგიებზე მუშაობისას საგანგებო ყურადღება ეთმობა ტერმინოლოგიურ ლექსიკოგრაფიას, ტერმინთა უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის საკითხებს.

ნებისმიერი დარგის ტერმინთა დამუშავებისა და შექმნის პროცესში ყველაზე საპასუხისმგებლო და მთავარი ადგილი სწორედ ლექსიკოგრაფიას ეთმობა. როგორ უნდა გაფორმდეს ტერმინი? არის თუ არა აუცილებელი ეკონომიკურობის პრინციპის დაცვა ტერმინთა შექმნის დროს? რამდენად მნიშვნელოვანია მოტივაციის საკითხზე ყურადღების გამახვილება? და ა.შ. ტერმინოლოგიური ლექსიკონის სიტყვანი არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, ლექსიკოგრაფების, კერძოდ კი, ტერმინოლოგების ინტერესის საგანი. არსებობს ერთიანი ნორმები, რომელთა დაცვა სავალდებულო უნდა იყოს ტერმინოლოგიური ლექსიკონის სიტყვანის ყველა შემდგენლისათვის: სპეციალურ დარგობრივ ლექსიკონში თავმოყრილი უნდა იყოს მეცნიერული ცნებების გამომხატველი

ტერმინები და მინიმუმამდე დაყვანილი ან სულ განდევნილი ამ ცნებებთან არაუშუალოდ დაკავშირებული დამხმარე ერთეულები. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ეს ასე არ არის. ზოგჯერ ერთნაირად არ არის უზრუნველყოფილი სიტყვანის მოცულობა და შედგენილობა, არაა დადგენილი საზღვრები ამა თუ იმ დარგის ლექსიკისა, ე.ი. მკვეთრად არაა გამიჯნული ერთი დარგი სხვა დარგის მასალისაგან. სიტყვანისათვის მასალის შერჩევა არ არის მარტივი საქმე. სპეციალისტს ზედმიწევნით კარგად უნდა ესმოდეს — რა შეიტანოს სპეციალურ ლექსიკონში და რა დატოვოს საერთო ენის ლექსიკურ მასალად. სიტყვანს, როგორც წესი, უნდა ადგენდეს სპეციალისტი (თანაც წამყვანი და გამოცდილი) იმ დარგისა, რომლის ტერმინოლოგიაც მუშავდება.

სიტყვანის შემდეგ დღის წესრიგში დგება უცხოური ტერმინებისთვის ქართული ეკვივალენტების შერჩევისა და შექმნის რთული ეტაპი. ეს უკანასკნელი თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგიის პრობლემაა, განსაკუთრებით კი საზღვაო დარგისა. როგორც წინა თავებში აღვნიშნავდით, ქართული საზღვაო ლექსიკის დიდი ნაწილი ინგლისური ნასესხობანია, რომელთა ქართული შესატყვისების დადგენა არც თუ ისე ადვილია, ამასთან, ზოგჯერ შეუძლებელიც კი. ამ დროს ტერმინოლოგებს დარგის სპეციალისტებთან ერთად უწევთ მთელი იმ ლექსიკურ-გრამატიკული არსენალის გამოყენება, რომელიც ენას გააჩნია. ერთი ინგლისური საზღვაო ტერმინის ასახსნელად მოვიშველიებთ ოთხ და ხუთსიტყვიან განმარტებებს. მაგალითად, **Banksman** – სახმელეთო ამწეს ოპერატორი, რომელიც გადასცემს სიგნალს, ინფორმაციას მეორე ოპერატორს, რომელიც მართავს ამწეს. **Slinger** – თოკებთან, ბაგირებთან, ჯაჭვებთან მომუშავე პერსონალი. **Pallet** – ხის საბჯენი, დანადგარი, რომელზეც იტვირთება ტვირთი. ინგლისური ტერმინის ზუსტი შესატყვისის არქონის გამო ქართული მოიშველიებს გრძელ ლექსიკურ ერთეულებს. ამ გზით მოტივაციის პროცესი მეტად გამჭვირვალეა.

როგორც რ. ღამბაშიძე აღნიშნავს – ტერმინოლოგიის უნიფიკაციისა და ნორმალიზაციის საკითხები ძალიან ვრცელსა და რთულ ოპერაციებს ვარაუდობს. ტერმინოლოგიაში ხელოვნური ჩარევა დასაშვებიაო — ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სიტყვების **გაკეთება** შეიძლება. ლექსიკოგრაფიული მუშაობა, ცნებათა ტერმინირება და მათი სრული ნორმალიზაცია — ეს მოღვაწეობის ისეთი

სფეროა, რომელიც ითხოვს არა მხოლოდ ამა თუ იმ დარგის სპეციალისტთა შეთანხმებულ მუშაობას, არამედ ენათმეცნიერებთან ერთად მათ მოღვაწეობას.

სპეციალისტები ავლენენ ამა თუ იმ სამეცნიერო დისციპლინაში ხმარებულ ცნებებს, ასაბუთებენ მათი ფიქსირების საჭიროებას, ადგენენ ერთი რომელიმე დარგის ფარგლებში ტერმინოლოგიური ლექსიკის მოცულობასა, იძლევიან ამ ცნებათა განმარტებებს, ხოლო ენათმეცნიერები ქართული ენის გრამატიკული ნორმებისა და ლექსიკური შესაძლებლობების მიხედვით შეიმუშავენ ქართულ ადეკვატურ შესატყვისებს და უზრუნველყოფენ თითოეული ტერმინის აგების სისწორეს.

ახალმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ (რომელმაც სრულად მოიცვა საზღვაო დარგი), სრულიად ახლებურად დააყენა დღის წესრიგში ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის საკითხი. სტანდარტიზაციის ხარისხი კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორადაა მოწესრიგებული ტერმინოლოგია.

რაში გამოიხატება ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია? რა მიმართება არსებობს ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციასა და უნიფიკაციას ანუ მოწესრიგებას შორის? ტერმინი **მოწესრიგება** ლოტეს ეკუთვნის. მოწესრიგებული ტერმინოლოგია არის ბუნებრივად ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიის წესრიგში მოყვანა, გაუმჯობესება. ეს ტერმინი არ გულისხმობს ოფიციალურ მხარეს, ე.ი. ტერმინოლოგიის საყოველთაობას ან არასაყოველთაობას (ან უფრო სწორედ: სავალდებულობას ან არასავალდებულობას).

დღეს სტანდარტიზაცია ეხება საქართველოში ჩამოყალიბებულ საზღვაო დარგის ახალ მიმართულებებს, როგორცაა: საკრუიზო ტურიზმი, ტრანსპორტი, მარკეტინგი, ლოჯისტიკა და ზოგადად, თანამედროვე საზღვაო სფერო, რომელიც მუდამ ვითარდება და სიახლის მომცველია. შესაბამისად, მიმართულებების მიხედვით მიმოქცევაში შემოსული ახალი ტერმინები უნდა აისახოს ტერმინოლოგიაშიც.

XXI საუკუნის დასაწყისში საზღვაო სფეროს ბევრი ახალი ინგლისურენოვანი ტერმინი შეემატა. ერთია, ხმარებაში ახალი ტერმინის შემოსვლა და მეორე, მისი ქართული შესატყვისის არსებობა. არადა, ამ მხრივ, საკითხი ნამდვილად საჭიროებს

დაფიქრებას და პრაქტიკულ გადაწყვეტილებამდე მისვლას. დღის წესრიგში დადგა ქართულ ენაზე ახალი ტერმინების შექმნის აუცილებლობა.

ახალი ტერმინების ჩამოყალიბება მჭიდროდ არის დაკავშირებული კვალიფიციური, მცოდნე კადრების მომზადებასთან, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასთან, კომპიუტერიზაციასთან (ვგულისხმობთ ელექტრონულ რუკებს).

მოწესრიგებული ტერმინოლოგია შეიძლება გამოიყენოს რეკომენდებული ტერმინების კრებულად, სტანდარტის სახით, ნორმად და ა.შ. ამ კუთხით, ჩვენ შევეცადეთ ნაწილობრივ მაინც მოგვეწესრიგებინა ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის რამდენიმე მიმართულება, რაც დახმარებას გაუწევს საზღვაო აკადემიის კადეტებს, გემზე მომუშავე რიგითებს და საზღვაო საქმიანობით დაინტერესებულ პირებს.

წარმოვადგენთ ჩვენ მიერ შექმნილ რამდენიმე ახალ ტერმინს საზღვაო დარგის ორი მიმართულების ფარგლებში:

1) **საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტი** – ეს არის სრულიად ახალი სპეციალობა ბათუმის საზღვაო აკადემიაში, რომელიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებს. საკრუიზო ლექსიკონები არასდროს ყოფილა მსჯელობის საგანი საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ოდითგანვე განვითარებული იყო ზღვაზე მიმოსვლა და ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან.

ქართული საკრუიზო დარგობრივი ლექსიკონის არ არსებობის გამო სტუდენტები და ლექტორ-მასწავლებლებიც დიდ სირთულეებს ვაწყდებით სწავლის პროცესში, რადგან საკრუიზო გემებთან დაკავშირებული ახალი ტერმინები არ მოიძებნება ქართულ საზღვაო ლექსიკონებში. ბევრ მათგანი დარგობრივი მნიშვნელობის მატარებელია და არა აქვს ქართული ეკვივალენტი.

როგორც უკვე ვთქვით, საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტი ახალი დარგია საქართველოში. ამ მიმართულების ტერმინები ძირითადად ინგლისურენოვანია. მათი ქართული შესატყვისების მოძიება თავისებურ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ჩვენ შევეცადეთ, შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებით, შეგვექმნა ამ ტერმინთა შესატყვისები ქართულ ენაზე.

საკრუიზო ტერმინოლოგია:		
Freestyle cruising	which do not set dinner time	თავისუფალი სადილობის

		სერვისის მქონე კრუიზი
First sitting	Meal time on the ship's dining room, usually around 6:30 pm	(საკრუიზო გემზე) სადილისთვის განკუთვნილი დროის მონაკვეთი, დაახლოებით 6:30
Gratuities	The passenger's personal expression of thanks,tips to the ship's service personnel for services received	ფეხის ქირა
Outside (cabin)	A cabin having window or porthole offering a view of the sea or a river	კაიუტა ზღვისა ან მდინარის ხედით (საკრუიზო გემზე)
Tender	A small ship, boat used to transfer passegers from ship to the shore	მგზავრთა ხმელეთზე გადასაყვანი პატარა გემი
Berth	A bed on a cruise	საწილო (გემზე)
Cruise tour	A cruise that is preceded or followed by a bus tour, operated by the cruise line.	საკრუიზო ტური, რომელიც მოიცავს სახმელეთო ტურს ავტობუსით
Friends of Bill W/friends of Dorothy	Is the code name for alcoholics anonymous meetings onboard	სმის მოყვარულთა ფარული შეხვედრები კრუიზზე
Lido deck	The pool deck	გემბანი ღია საცურაო აუზით
Open-jaw sailing	An itinerary that begins and ends in different ports, a one way cruise.	საკრუიზო მოგზაურობა (მარშრუტი), რომელიც იწყება და სრულდება სხვადასხვა დანიშნულების პორტში
Purser	The officer in charge of financial accounting, who handles billing issues, as well as general customer service	ადმინისტრატორისა და ბუღალტრის მოვალეობების შემსრულებელი პირი კრუიზზე
Sea package	a package that includes airfare, transfers	საზღვაო ტური, რომელს ღირებულება მოიცავს სახმელეთო და საჰაერო გადაყვანასაც

2) **სანავიგაციო მიმართულება:** ამ მიმართულებაში გაჩნდა ახალი, სტრუქტურულად გრძელი ტერმინები. ასეთებია სანავიგაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მოძრაობის გამყოფი სისტემის დარგობრივი ტერმინები. ისინი გამოიყენება ელექტრონულ რუკებზე, რაც სიახლეა თანამედროვე ქართული საზღვაო დარგისთვის.


ამ მიმართებით ქართული საზღვაო ტერმინების დამუშავებაში აღსანიშნავია ბათუმის საზღვაო აკადემიის უცხო ენების მიმართულების უფროსის, პროფესორ ზ.ბეჟანოვის ინიციატივა და საქმიანობა. მისი ხელმძღვანელობითა და ჩვენი დიდი

მონდომებით დღემდე მუშავდება ახალი ერთეულები, რაც საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია.


ინგლისურ-ქართული სიტყვანი

TSS Glossary


1. Traffic separation scheme; traffic separated by separation zone - მოძრაობის გამყოფი სისტემა; მოძრაობის ზოლები გაყოფილია გამყოფი ზონით;
2. Traffic separation scheme, traffic separated by natural obstructions - მოძრაობის გამყოფი სისტემა; მოძრაობის ზოლები გაყოფილია ბუნებრივი დაბრკოლებებით;
3. Traffic separation scheme with outer separation zone (separating traffic using scheme from traffic not using it) - მოძრაობის გამყოფი სისტემა გაყოფის გარე ზონით; მოძრაობის გაყოფა იწყება მოძრაობის სქემით გაყოფის გამოყენების გარეშე;
4. Traffic separation scheme, roundabout - მოძრაობის გამყოფი სისტემა; წრიული მოძრაობის რაიონი;
5. Traffic separation scheme, with "crossing gates" - მოძრაობის გამყოფი ჯვარედინი;



6. Single-Flashing Light - ელვარე შუქი



7. Alternating Light - ცვალეზადი შუქი




8. Long-flashing Light - ხანგრძლივად-ელვარე შუქი



9. Fixed Light - მუდმივი შუქი

10. Sector light on standard charts - სექტორული შუქი სტანდარტულ რუკებზე



ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ტერმინთა უნიფიკაცია ძალზე რთული პროცესია. ძნელია მოიძებნოს ინგლისური და ქართული ეკვივალენტური სიტყვები, რომლებიც ყველა კონტექსტში ჩაენაცვლებიან ერთმანეთს.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შექმნილი და საანალიზოდ წარმოდგენილი ტერმინები, უფრო სწორად, ინგლისურ ტერმინთა ქართული შესატყვისები, სალექსიკონო სივრცისთვის სრულიად ახალი ერთეულებია. ისინი სტრუქტურულად რთული, მარგამ გამჭვირვალე მოტივაციის მატარებელნი არიან. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენეული მეთოდი ახალი ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის მოწესრიგების, სტანდარტიზაციისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივად მიგვაჩნია.

3.2. ინგლისურ და ქართულ საზღვაო ტერმინთა სემანტიკური ეკვივალენტობა

ინგლისური საზღვაო ტერმინების ქართულად გადმოტანის პროცესში სირთულეს ქმნის ამ ენათა შორის სემანტიკური ასიმეტრია. ძნელია მოიძებნოს ქართული და ინგლისური თითქოსდა ეკვივალენტური სიტყვები, რომლებიც ყველა კონტექსტში ჩაანაცვლებენ ერთმანეთს. აქ სირთულეს ქმნის ტერმინის ადეკვატური გაგება და გადმოტანა, მით უფრო, რომ როგორც გამოცდილმა გვიჩვენებს, საზღვაო ტერმინოლოგი ახშირად პოლისემიურია. მნიშვნელოვანია წყარო ენის ანუ დედნიდან შინაარსისა და რეგისტრის ადეკვატური გადმოტანა თარგმანის ენაში.

ტერმინის ადეკვატური გადმოცემა შინაარსის თვალსაზრისით – აუცილებელია ნებისმიერი დარგის ტერმინოლოგიის თარგმნის დროს. შინაარსი – არის ის

მნიშვნელობები, რომლითაც გადმოცემულია ლექსიკურ ერთეულში მოქცეული აზრობრივი ინფორმაცია თარგმანის ენაზე.

სადისერტაციო ნაშრომის ეს ნაწილი უფრო რთულ და მრავალწახნაგოვან საკითხს, კერძოდ, შინაარსის თვალსაზრისით ტერმინის მნიშვნელობის ადეკვატური გადმოცემის პრობლემებს წარმოაჩენს. ჩვენ ვიკვლევთ იმ სირთულეებს, რომლებიც ორიგინალი ტერმინის სემანტიკის ზუსტ გადმოცემაში მდგომარეობს, განსაკუთრებით ტერმინისა და მასში მოცემული ცნების აზრობრივი შესაბამისობის თვალსაზრისით. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ გააჩნიათ განსაზღვრული შინაარსობრივი სხვაობა, რაც უცხო ენასა და თარგმანის ენაზე ტერმინების გამოყენების განსხვავებულ სპეციფიკაში მდგომარეობს.

ტერმინოლოგიაში მსგავსი განსხვავებები ასახავენ ცნებების ზუსტ შეუთანხმებლობას, რაც განპირობებულია, ძირითადად, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ცნებათა დიფერენციაციით, საზღვაო ტერმინებს შორის არსებული სემანტიკური სხვაობებით.

ქვემოთ მოყვანილია ასეთი შინაარსობრივი სხვაობების მქონე რამდენიმე ქართული ტერმინის ნიმუში. ეს ტერმინები არაადეკვატურადაა გადმოტანილი, არ შეესაბამება მის ინგლისურ ეკვივალენტს.

ამგვარი ტერმინები ქმნიან საშიშროებას, რომ დროთა განმავლობაში მათ შორის მოხდება მნიშვნელობათა გადანაწილება და ხელს შეუშლის ტერმინთა ხმარების არაადეკვატურ, მცდარ გააზრებას. ასეთი საფრთხე მართლაც არსებობს. აქ შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები, სადაც ქართული სინონიმის ლექსიკური ერთეული არაადეკვატურად არის გამოყენებული.

1) **dangerous cargo** — ტერმინ **dangerous** ქართული ეკვივალენტებია **საშიში და სახიფათო** (სინონიმური ექვივალენტები). ბევრ შემთხვევაში ეს ტერმინი გადმოცემულია ქართულ ენაზე როგორც **საშიში ტვირთი**. ლექსიკური ერთეული **საშიში** არასწორადაა შერჩეული, რადგან ტვირთი შეიძლება იყოს **სახიფათო** გადაზიდვისას და არა **საშიში**. თამაზ ხმელიძის სამშენებლო განმარტებით ლექსიკონში (2015) ტერმინი **სახიფათო ტვირთები** შემდეგნაირადაა განმარტებული:

სახიფათო ტვირთები – ნივთიერებები და საგნები, რომლებიც ტრანსპორტირების, სატვირთავ-გასატვირთავი სამუშაოების შესრულების და შენახვის დროს შეიძლება გახდეს აფეთქების, ხანძრის ან სატრანსპორტო საშუალების, საწყობების, მოწყობილობების, შენობა-ნაგებობების დაზიანების, აგრეთვე ადამიანებისა და ცხოველების კვდომის, დამწვრობის, დასახიჩრების, მოწამვლის, დასხივებისა და დაავადების მიზეზი.

ტერმინი **საშიში** იმავე ლექსიკონში გამოყენებულია ზონასა და ნივთიერებასთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის მოწესრიგების მიზნით, ტერმინი **dangerous cargo** უნდა დადასტურდეს, როგორც **სახიფათო ტვირთი**.

იმავე შესატყვისით ჩვენ ეს ტერმინი დავადასტურეთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის დირექტორის ბრძანებებში. წარმოვადგინეთ აღნიშნულ ბრძანებებს:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №05, 2016 წლის 30 მარტი ქ. ბათუმი

მუხლი 4. შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება
გ) თუ წინასწარ უცნობია ჩასვლის ნავსადგური ან შეიცვალა უშუალოდ მოძრაობის პერიოდში აღნიშნული ინფორმაციის მიღებისთანავე
2. **საშიში და დამაბინძურებელი ტვირთების შესახებ** ინფორმაცია სავალდებულო წესით შეტყობინებულ უნდა იქნეს ამ წესების III თავის მოთხოვნების შესაბამისად.

ბრძანება №05 2016 წლის 30 მარტი, „საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ნავსადგურის აკვატორიაში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების წესის“ დამტკიცების შესახებ

მუხლი 4.
გ) **საშიში ტვირთი:**
ვ.ა) ტვირთი კლასიფიცირებული IMDG კოდექსის შესაბამისად;
ვ.ბ) **საშიში თხევადი** ნივთიერებები IBC კოდექსის მე-17 თავით განსაზღვრული ნივთიერებები;
ვ.გ) თხევადი გაზები IGC კოდექსის მე-19 თავით განსაზღვრული ნივთიერებები;

2) ასეთივე არაადეკვატურობა ფიქსირდება ტერმინ **flammable substance** -თან დაკავშირებითაც. ქართულ-რუსულ საზღვაო ლექსიკონში და ბევრ სახელმძღვანელოში გვხვდება **ცეცხლსაშიში** რუსული **огнеопасный** -ს კალკირებით, მაშინ, როდესაც მისი სწორი ქართული ეკვივალენტებია **აალებადი** და **წვადი** ; **ცეცხლსაშიში**-ს მნიშვნელობით ის ასევე ფიქსირდება ბათუმის ნავთობტერმინალის

რეზერვუარებზე საფრთხის მომცველ ნიშნად. მაშინ როდესაც თვით ბრძანების № 01 ერთ-ერთ მუხლში (2012 წ. 31 აგვისტო ქ. ბათუმი „ნავსადგურის წესების“ დამტკიცების შესახებ) ტერმინალებთან მიმართებით გამოყენებულია ქართული ტერმინი **ხანძარსაშიში**. წარმოვადგენთ აღნიშნულ ბრძანებას:

მუხლი 72

7. ნავთობტერმინალზე/გაზის ტერმინალზე, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული უნდა იყოს დღისითა და ღამით კარგად ხილვადი წარწერები ქართულ და ინგლისურ ენებზე: „არ მოწიოთ“, „**ხანძარსაშიშია**“, „არ გამოიყენოთ ღია ცეცხლი“ და სხვა. 8. ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში ტვირთებთან დაკავშირებული სატვირთო ოპერაციების დაწყებისათვის, ნავთობტერმინალის/გაზის ტერმინალის ნავმისადგომზე სრულ მზადყოფნაში უნდა იქნეს მოყვანილი ყველა **ხანძარსაწინააღმდეგო** საშუალება (წყალი და ქაფსაქრობი სისტემები, შლანგები უნდა განლაგდეს გემბანებსა და ნავმისადგომის ტერიტორიაზე, ჩაირთოს ნაპერწკალსაქრობი და სხვა)

ისიღორე გვარჯალადის ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში (1975) **flammable** -ს მნიშვნელობებია: **საწვავი, წვადი, აალებადი**.

თ. ხმელიძის სამშენებლო განმარტებით ლექსიკონში ტერმინები **აალება** და **აალებადი ნივთიერებები** შემდეგნაირადაა განმარტებული:

აალება – წვადი ნივთიერების ორთქლის ან აირების ნელი და მდგრადი წვა, რომელიც გამოწვეულია ღია ცეცხლის ალით ან გავარვარებული საგნის შეხებით. გამოყოფილი სითბოს რაოდენობა საკმარისია წვადი მასალის შემდგომი ნაწილის გასახურებლად და აალების გასავრცელებლად, სანამ ნივთიერება ბოლომდე არ დაიწვება. აალების უნარი აქვს საწვავი აირების ნარევეს

აალებადი ნივთიერებები –აირები, რომლებიც ნორმალური წნევის პირობებში ჰაერთან შერევისას აალებადი ხდებიან (ხმელიძე, 2015).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ არცერთ ლექსიკონში არ მოიძებნება ტერმინი **ცეცხლსაშიში**, გარდა ქართული საზღვაო ლექსიკონისა (ბარათაშვილის რედაქციით). ამკარაა, რომ ეს ტერმინი რუსული **огнеопасно** -ს კალკია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერმინები კალკირების წესით არის გადმოტანილი რუსული საზღვაო ტერმინოლოგიიდან ქართულში. ისინი დღემდე ამ სახით გამოიყენება. სასურველია, სამომავლოდ გასწორდეს თავის დროზე დაშვებული ხარვეზი და ტვირთთან და ნივთიერებასთან მიმართებით სალექსიკონო ერთეულებად დამკვიდრდეს არა **ცეცხლსაშიში**, არამედ **აალებადი** და **ფეთქებადი**.

სამწუხაროა, მაგრამ დღესაც იგრძნობა საბჭოთა პერიოდის გავლენა. საზღვაო საკანონმდებლო აქტებში ბევრი რუსული საზღვაო ტერმინი და ფრაზა გამოიყენება. ამის მიზეზია ის, რომ წლების განმავლობაში საქართველოს საზღვაო სანაოსნოში საქმის წარმოება ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ამის მაგალითებია:

1. ბუქსირზიდვა/ ბუქსირი(მუხლი 5,6,215 217,218,219,220, 222,223)

მუხლი 5

საქართველოს ნავსადგურებს შორის გადაზიდვა და ბუქსირზიდვა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემით. უცხო ქვეყნის გემს საქართველოს ნავსადგურებს შორის სამუშაოს შესრულება შეუძლია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად.

2. რემონტი (მუხლი 279,105,106, 265)

მუხლი 105

3. ზღვაში ჩადირულ ქონებად არ მიიჩნევა ის ქონება, რომელიც საქართველოს ნავსადგურში სატვირთო ოპერაციებისა და სანავსადგურო ინფრასტრუქტურაზე სარემონტო სამუშაოების განხორციელებისას შემთხვევით ჩაიძირა ნავსადგურის აკვატორიაში.

ამას ემატება ისიც, რომ ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაში ინგლისური ტერმინებიც მკვიდრდება. ამ მიმართებით ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს კანონი – საქართველოს საზღვაო კოდექსის მუხლები (375 მუხლი), ზოგადი დებულებანი 2008-2017 წლების მიხედვით, სადაც აღმოვაჩინეთ ბევრი ინგლისური და რუსული ტერმინები.

დასახელებული კანონი სათანადო მუხლებით ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ისინი რეალურად ასახავს ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის თანამედროვე მდგომარეობას ბოლო ათწლეულის მანძილზე. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ მუხლებს:

1.სტივიდორი (მუხლი 78)

მუხლი 78

1.საქართველოს საზღვაო ნავსადგურში გემების სააგენტო, სტივიდორული, სურვეირული და სატრანსპორტო - მომსახურებები ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.დეტვეიტი (მუხლი 101)

მუხლი 101

2. სალოცმანო ქვითარში აღნიშნული უნდა იყოს: ა) გემის დასახელება; ბ) გემის სახელმწიფოს დროშა; გ) გემთმფლობელის დასახელება, მისი მისამართი; დ) საერთო სარეგისტრო ტევადობა და წმინდა სარეგისტრო ტევადობა; ე) დეტვეიტი; ვ) გემის საერთო სიგრძე, სიგანე და ბორტის სიმაღლე;

3. ნოტისი (მუხლი 82)

მუხლი 82

1. გემის გადმოსატვირთად ან დასატვირთად მზადყოფნის შესახებ წერილობითი შეტყობინება (მზადყოფნის **ნოტისი** / Notice of Readiness) გემის კაპიტანმა უშუალოდ ან აგენტის მეშვეობით ნავსადგურსა და ტვირთმიმღებს/ტვირთგამგზავნს უნდა გადასცეს გემზე შემოსავლების სამსახური პროცედურების დასრულებისა და თავისუფალი პრაქტიკის მიღების შემდეგ, ნავსადგურის სამუშაო დროის განმავლობაში.

4. ბიტინგები (მუხლი 95)

მუხლი 95

5. აირმზიდი ტანკერის მოძრაობის სიჩქარე ან ინერცია ნავსადგურის შიდა აკვატორიაზე ბორტთან „**ბიტინგებზე**“ დამაგრებული ბუქსირებით არ უნდა აღემატებოდეს 1,5 (ერთნახევარი) კვანძს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საზღვაო საკანონმდებლო კოდექსს დანართის სახით ახლავს უცხო ტერმინთა ქართული განმარტებები კოდექსის მუხლებში უმეტეს შემთხვევაში ქართული შესატყვისები არ გამოიყენება. დანართის განმარტებებში ჭარბობს ინგლისური ტერმინები. დანართში არა ასახული ყველა უცხო ტერმინი რაც გამოყენებულია საზღვაო კოდექსში. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ჩვენ მოვიძიეთ უცხოურ საზღვაო ტერმინთა განმარტებები (53 ტერმინი, რომლებიც დანართის სახით თან ახლავს სადისერტაციო ნაშრომს.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ დამატებული ტერმინთა განმარტებები დაეხმარება დარგის სპეციალისტებს, მეზღვაურებს სპეციფიკური ინფორმაციის გაგების გაადვილებაში.

3.3. საზღვაო ტერმინთა ლექსიკოგრაფიული საკითხები

დარგობრივ ტერმინოლოგიებში საინტერესოა ტერმინთა ლექსიკოგრაფიული საკითხები, კერძოდ, ტერმინთა გაფორმების წესი. ამ მხრივ საზღვაო ტერმინოლოგიისთვის დამახასიათებელია კონკრეტულ ტერმინთა სიმრავლე და მათი შემოკლებული ფორმები, ანუ აბრევიატურა.

ქართულ საზღვაო კოდექსის მუხლებში კონკრეტული ტერმინთა სიმრავლრე და მათი შემოკლებული ფორმები განსაკუთრებით იჩენს თავს.

ამ ლინგვისტური ფენომენის გავრცელებული ფორმებია: აბრევიატურები და აკრონიმები.

აკრონიმი წარმოადგენს შემოკლებულ სიტყვათა ნაერთს, ინგლისურ სალიტერატურო ენაში არსებული სიტყვის მსგავსია და აქვს შესაბამისი მნიშვნელობა. აბრევიატურა გაგებულია, როგორც სიტყვების პირობითი შემოკლება

ინგლისურ აბრევიატურებში გამოვლენილია ძალიან მრავალფეროვანი სიტყვათშემოკლებები, აქ შეიძლება რამდენიმე შემთხვევაზე ვილაპარაკოთ, მაგალითად:

1) ინგლისურ ენაში არსებობს საწყისი ასოებისგან შედგენილი სიტყვათშემოკლებები, რომელიც წარმოითქმება და იკითხება ინგლისური ენის ანბანური სახელების დასახელების მიხედვით. ინგლისურ ენაში აბრევიატურები ძირითადად დიდი ასოებით იწერება, მათთან აღარ იყენებენ სასვენ ნიშნებს, მათში გამოყენებული წინდებულები (of – ის) არ მოკლდება, მაგალითად:

VDR –Voyage Date Recorder
TTS –Traffic Separation System
OOW – Officer of Watch
E/D – Engine Department
IMDG – International Maritime Dangerous Goods
CC – Compass Course
LT – Local Time

ამ ტიპის შემოკლებანი როგორც უკვე აღვნიშნეთ გამოითქმის ცალცალკე ასოების წარმოთქმით. ჩვენ ხშირად გვიძნელდება განსაკუთრებით ახალი ტერმინების ამოშიფვრა რადგან მათში მხოლოდ დასაწყისი სიტყვის ასოებია წარმოდგენილი.

2) ორი სიტყვის თავკიდური მარცვლების შეერთებით მიღებული ახალი შემოკლებული სიტყვა,მაგალითად:

Navicert – Navigation Cetificate
Marsec – Maritime security
Westmed – Western Mediterranean
Sitrep – Situation Report

3) შესამოკლებელი სიტყვიდან პირველი ფუძითაა წარმოდგენილი მეორე სიტყვის ბოლოკიდური მარცვლით, ანუ სუფიქსით ,მაგალითად::

Bulker – Bulk Carrier

4) ორ ან მეტ სიტყვიდან პირველი, ან პირველი ორი, სამი სიტყვის შემოკლება წარმოდგენილია მათი საწყისი ასოების შეერთებით, ბოლო სიტყვა კი სრული ფორმით, მაგალითად:

MCC room – motor control center room
NR ports – Northern range ports
ID card – Identification card.
P. Charges – particular charges

5) აბრევიატურებს ინგლისურ ენაში ახასიათებს ომონიმების შემთხვევები, ისინი გვხდება საზღვაო სფეროშიც, მაგალითად:

1.LT – Low tension

LT – Local Time

2.BC – Birth Certificate

B.C. – Bulk Cargo

3.TA –Travel Agent

TA – Travel Agency

TA – Time of Arrival

TA – Telegraphic Address

აქ ორმაგი სირთულის წინაშე ვდგავართ. აბრევიატურებისთვის არა მარტო სწორი ეკვივალენტების შერჩევა გვევალება, არამედ მათი ზუსტი, სრული მნიშვნელობის გარკვევა, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი უზუსტობანი.

6) შესამოკლებელ სიტყვათა პირველი ასოების შეერთება, რომელიც წარმოითქმება როგორც ერთი მთლიანი სიტყვა ანუ აკრონიმების ფორმით, მაგალითად:

1.LASH – Lighter Abroad Ship

2.OBO – Ore, Bulk, Oil ship

3.PIN – Personal Identification Number

4.BIBO – Bulk in Bags out

საზღვაო ტერმინოლოგიაში შემოკლების ფორმები განპირობებულია ადგილისა და დროის ეკონომიით, გრძელსიტყვაობის მოკლედ გადმოცემის პრაქტიკული საჭიროებით. ქართულ ზეპირ მეტყველებაში ინგლისური შემოკლებანი გადმოდის ტრანსლიტერაციისა და სესხების საშუალებით. საქართველოს საზღვაო კოდექსში მრავლადაა აბრევიატურის გამოყენების მაგალითი, რადგან მისი ქართული ეკვივალენტი მრავალსიტყვიანია, ამიტომ გამოიყენება ერთი ინგლისური აბრევიატურა, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული.

ზოგადი დასკვნები

ნაოსნობის ისტორიას და საზღვაო საქმეს საქართველოში დიდი და ხანგრძლივი ისტორია აქვს, რაც თავის მხვრივ, აისახებოდა იმ დროის როგორც ქართულ სამწერლობო ენაში.

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის ძირითად წყაროს ფეოდალური ხანის ქართული მწერლობა წარმოადგენს. ორიგინალურმა თუ თარგმნილმა, საერო თუ სასულიერო მწერლობამ შემოგვინახა ტერმინები, რომელთა ნაწილი დღესაც გამოიყენება.

ნაოსნობა-ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების სიმრავლე, ნაირფეროვნება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ეს დარგები საქართველოს ისტორიის, ქართველთა ყოფა-ცხოვრების რეალური სინამდვილეა. ტერმინების სტრუქტურა და სემასეოლოგიური დახასიათება ერთი მხრივ წააგავს სხვა დარგობრივ ტერმინოლოგიებს, მაგრამ აშკარაა განსხვავებაც. ამ განსხვავებას კი ქმნის დარგის სპეციფიკა.

ქართული საზღვაო ტერმინოლოგია დღესაც ფორმირების პროცესშია.

დამოწმებული მასალა ცხადყოფს, ტერმინთა უმრავლესობა ინგლისურია, დიდი ადგილი უჭირავს რუსულენოვან ტერმინებს, ბევრია კალკირებული და ხელოვნური ფორმაც. დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში ყველაფერი მიმართულია იმისაკენ, რომ შეიქმნას უნიფიცირებული ტერმინოლოგიური სისტემა.

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის დიდი ნაწილი, რუსულის როგორც მედიატორი ენის, მეშვეობით ნასესხები, კერძოდ, კალკირებით შემოსული ლექსიკური ერთეულებია. ძირითადად გვხვდება ერთ და ორ სიტყვიანი ტერმინები, რომლებიც ძირითადად მოტივირებულია.

ინგლისური ენა, როგორც პრესტიჟული ენა, მსოფლიო ენის სტატუსითაც სარგებლობს, ის ორი, სხვადასხვა ენის მატარებელი ხალხის, საქმიანი ადამიანის ურთიერთობის დამყარების საუკეთესო საშუალებაა, რაც კარგად შეიმჩნევა თანამედროვე ქართულ საზღვაო კომუნიკაციაში.

ტერმინოლოგიური მუშაობისადმი ინტერესი განსაკუთრებით იზრდება დღეს, კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ენაში არსებული ლექსიკური ფონდის მასთან დაკავშირებული პრობლემების პოტენციალისა და პერსპექტივების საკითხების დაინტერესებული მმკვევარებისათვის. ნაშრომი დახმარებას გაუწევს მეცნიერებსა და მკვლევარებს, რომელთა შესწავლის საგანი და სფეროა ქართული ენის ლექსიკური მარაგი გამრავალფეროვნების ხასიათი თანამედროვე ქართულ ენაში და ტერმინოლოგიებში ინგლისური ენიდან შემოსული ლექსიკური ერთეულების

შემოდინების ინტენსიური ტენდენციები. თანამედროვე ქართულ ენაში ახალი ერთეულების დამკვიდრების პერსპექტივა. ქართული ლექსიკოგრაფიის გადახედვა ბოლო 10 წლის განმავლობაში.

ამგვარად, საზღვაო ტერმინთა უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. როგორც დარგის სპეციალისტების ისე მთარგმნელობითი სფეროთი დაინტერესებული ადამიანების ერთობლივი თანამშრომლობით ყველა სალექსიკონო ერთეული მაქსიმალური სიზუსტით უნდა ასახავდეს ტერმინის სემანტიკას. ხმარებიდან ამოღებული უნდა იქნას ისეთი ტერმინები, რომლებიც ვეღარ პასუხობენ თანამედროვე სტანდარტებს, საფრთხეს წარმოადგენენ კონტექსტიდან გამომდინარე. მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ინგლისური და ქართული ტერმინების ასიმეტრიულობის საკითხი და სასურველია მოიძებნოს ან შეიქმნას ახალი სალექსიკონო ქართული ერთეულები.

ჩვენ მიერ შექმნილი და საანალიზოდ წარმოდგენილი ტერმინები, უფრო სწორად, ინგლისურ ტერმინთა ქართული შესატყვისები, სალექსიკონო სივრცისთვის სრულიად ახალი ერთეულებია. ისინი სტრუქტურულად რთული, მარგამ გამჭვირვალე მოტივაციის მატარებელნი არიან. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენეული მეთოდი ახალი ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის მოწესრიგების, სტანდარტიზაციისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივად მიგვაჩნია.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები აისახა ავტორის პუბლიკაციებში:

1. Peculiarities of cruise ship terminology – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, IV რეგიონული სიმპოზიუმი, „საკრუიზო ტურიზმი, მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში“ (მასალები. ელექტრონული კრებული), გვ. ბათუმი, 2017
2. გლობალიზაციის ენობრივი პროცესები თანამედროვე ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, II საერთაშორისო

სამეცნიერო კონფერენცია „საზღვაო ინდუსტრიის ინოვაციური გამოწვევები“, მასალები გვ. 334, ბათუმი, 2016

3. ძველი ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის მოკლე მიმოხილვა, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საზღვაო ინდუსტრიის ინოვაციური გამოწვევები“. მასალები, გვ 327, ბათუმი, 2016.

4. English as a means of communication on Cruise Liners, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, III რეგიონული სიმპოზიუმი „საკრუიზო ტურიზმი-მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში“, მასალები, გვ 131. თბ., 2016

5. ქართული საზღვაო საკანონმდებლო ტერმინოლოგიის საკითხისათვის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, დოქტორანტა და ახალგაზრდა მეცნიერთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გვ.161-164, ბათუმი, 2017

6. Using of modern methods in maritime English language teaching –HENTI 217 Certificate of participation-The second international conference Higher Education- New Technologies and Innovations. ქუთაისი, აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 98, ქუთაისი, 2017.

7. Methods of teaching foreign languages at Technical University –International scientific conference “Sustainable maritime technology and science” Bulgaria Nikola Vaptsarov Naval Academy. Proceedings. p 77-79. Bulgaria.2015